საქართველო

12996-01-2-201804030926

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/12996
03/04/2018

სასწრაფო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

ქალბატონო თამილა,

როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშრითან უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, 539/2001 რეგულაციის ცვლილებების საფუძველზე ევროკომისია აგრძელებს პროცესის მონიტორინგს ორი მიმართულებით: 1. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების შემდგომი იმპლემენტაცია და 2. უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდგომი სტატისტიკის მონიტორინგი განახლებული შეჩერების მექანიზმით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და იმპლემენტაცია მიმდინარეობდა საგანგებოდ შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომლის მუშაობას კოორდინაციას უწევდა საგარეო საქმეთა სამინისტრო *(საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის განკარგულება N2365 - თან ერთვის).*

შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდგომი მონიტორინგის პროცესში საქართველოს მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინირებულად დაგეგმვისა და ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით *(განსაკუთრებით თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობისა და დანაშაულებრივი ქმედებების ზრდის კონტექსტში)* მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით დიალოგის წარმოებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი'' ჩანაცვლდეს „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის შემდგომი მონიტორინგისა და კოორდინაციის სამუშაო ჯგუფით", რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის წინაშე. საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან სამუშაო ჯგუფის საქმიანობას ვუხელმძღვანელებ პირადად.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში წარმოგვიდგინოთ თქვენი უწყებიდან შესაბამისი კანდიდატურა (მინისტრის მოადგილის დონეზე), რომელიც ჩართული იქნება სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge